№ 3 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დანაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი. 1909 წ. ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი.

ბარბარე იოსების ასულმა ვოლსკისა, ვლადიმერ იოსების ძე ვოლსკი და იგნე იგნეს ძე ზურაბიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი — ძმისა, ხოლო უკანასკნელნი — მამიდაშვილის

გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისას.

გამოსვენება ბინიდან (ტეხნიჩესკი ქ., № 10 პასტერის ინსტიტუტის მახლობლად), ღღეს ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან, წირვა-პანაშვიდის შემდეგ, კუკიის წმ. ნინოს მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი

სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ., ღღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

ზურაბ ზ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მალალაშვილი ბ. ბ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. ვ შინ, ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ჭირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ჭირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. ღღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. ღღ. 9—11 საათ.

სოგოლევსკი ბ. ვ. ჭირურ. ყოვ. ღღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ვ. დედაკ. საბებიო, ყოველ ღღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ბ. მიკრ. ჭირ. ბაქტ. გამოკვლევა. (50—2)

ვოგზლის

კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსაარჯე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ ღღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. ბოგბართელი—ყოველ ღღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. ღიასამიძე—ყოვ. ღღე, $11^1/_2$—$11^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ ღღე, ჭირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ, ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკლეევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ ღღე 12—1 ს.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ ღღო ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

(50—2)



† გრიგოლ ვოლსკი

(ნეკროლოგი)

სოფელმა თავისი არ დაიშალა და სიკვდილმა უცებ, მოულოდნელად მოგვტაცა გრ. ვოლსკი, კაცი ჯერ ისევ სავსე ღონით, მხნეობით, ქკუითა და გამოცდილებით. გრ. ვოლსკი დედით ქართველი იყო, საქართველოში დაბადებული და აღზრდილი და საქართველო თავის სამშობლო ქვეყნად მიაჩნდა; გულითა და სულით უყვარდა ქართველობა, ქართველი ერი; მისთვის, მის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის ფიქრობდა, ჰზრუნავდა, ღვწოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღღე მუდამ, ჟამსა ყოველსა. ჰზრუნავდა და ღვწოდა, როგორც ნასწავლი და განათლებული მკურნალი, როგორც სახოგადო მოღვაწე, ჭკვიანი და ჩინებული მოლაპარაკე, როგორც მოლექსე და მწერალი, ჰეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი.

განსვენებულმა გიმნაზია ქუთაისში გაათავა, მერე რუსეთს წავიდა, ორ თუ სამს წელიწადს სწავლობდა უნივერსიტეტში, ვვონებ სიტყვიერ ბისა თუ ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებაზედ, მაგრამ შემდეგ მიანება ამა თავი, მკურნალობის სწავლას მიჰყო ხელი და დაამთავრა მედიცინური ფაკულტეტი მოსკოვში ამ ოც-და-ხუთის წლის წინა, 1885 წელს. მაშინვე დაბრუნდა თავის სამშობლო ქვეყანაში და შეუდგა საზოგადო, საქვეყნო საქმის მახურებას გულის-წმინდით, უანგაროდ, თავ-დაუზოგველად. ჯერ ი ევ სტუდენტობაში რუსეთიდანვე შემოტრფოდა თავის ქვეყანას და, გრ. უმწიფარიძის სახელით, ჰბეჭდავდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში შნოიანს. აზრიანს, გულს ჩამწდომს ლექსებს. თუმცა ქართული მწერლობა დიდად უყვარდა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს მის ზრდასა და წარმატებას, რეტადრე ენის განვითარებისა და სიწმინდეს, მაინც წერას, მწერლობის მსახურებას აგრე რიგად არ ეტანებოდა. ისეთის ცოცხალის ბუნებისა იყო, რომ ოთახში ჩაკეტვა, კაბინეტში ჯდომა და მუშაობა არ ეხალისებოდა, ემძიმებოდა. იმისი სი-

ცოცხლე იყო ცხოვრებაში ტრიალი, საზოგადოებაში ყოფნა, სჯა ლა ბაასი, კამათი ძრიელი და მკვეთრი იმისათვის, თუ რა უჭირს ქვეყანას, რა არგებს ჩვენს ხალხს, რა დაუამებს ტკივილებს, რა დაკმაყოფილებს მის საჭიროებასაო. საცა ასეთი სჯა-ბაასი იყო, საცა გადასაწყვეტი იყო მწვავე საქმე და საგანი ჩვენის ცხოვრებისა, იქ ენატრებოდა გრიშას ყოფნა, იქ სწყუროდა ბრძოლა, ბრძოლა გაბედული, თავგამოდებული. ამისთანა ბრძოლაში გადიშლებოდა ხოლმე იმისი ნიჭი, იმისი ცოდნა, ენა-მჭევრობა. როგორც ალმასი შუშას, ისე სჭრიდა მაშინ მისი ენა, სულ ერთია, რუსულად დაუწყებდა ვინმე ომს თუ ქართულად. ორივე ენა ზედ-მიწევნით იცოდა, ორივე იარაღი მტრის დასამარცხებლად ერთნაირად ჰქონდა აღლესილი, ფხა-აღებული.

თითქმის ათი-თხუთმეტი წელიწადი იბრძოდა ასე განსვენებული ბათუმში საქალაქო გამგეობის წევრად ყოფნის ხანს. და თუ დღეს ბათუმში ქართველობას ცოტაოდენი ძალა და მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, გრ. ვოლსკ-ს უნდა უმადლოდეთ, იმის თავ-გამოდებულ ბრძოლის მადლობელნი უნდა ვიყოთ.

ამისთანა ბრძოლით გატაცებული, მაინც არ ივიწყებდა მწერლობასაც. სწერდა პატარ-პატარა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში სხვა და სხვა ფსევდონიმით, სთარგმიდა ჩვენის საუკეთესო მწერლების ნაწერებს რუსულად (ილია ჭავჭავაძის გლახის ნაამბობი, კაცია-ადამიანი, ყაზბეგისა და შ არაგვისპირელის რამდენიმე მოთხრობა). ხოლო როცა უფრო მოცლილი იყო, აჭრელებდა შენიშვნებით ჟურნალ-გაზეთებს და გვიბრუნებდა რედაქციებში, აბა, ჩა-

უკვირდით, მართალია ჩემი შენიშვნები თუ არა თქვენის ენის სისწორისა და გრამატიკის შესახებაო.

ბოლოსა და ბოლოს ბათუმში ცოტა მტერი არ გაუჩნდა განსვენებულს. უსიამოვნება უსიამოვნებაზედ დაერთო და მიანება იქაურობას თავი. უყვარდა გულით ქართული და ქართულის მასწავლებლობა იკისრა ჩვენს ქართულს გამნაზიაში. სულ ორი თუ სამი წელიწადია, რაც ეს ქართულის მასწავლებლობა დაიწყო, მაგრამ ძველს, გამოცდილს მეომარს გული კვლავ ომისა და ბრძოლისათვის ერჩოდა. ვაჟა-ფშაველას გმირისა არ იყოს, თითქო სულ იმას ჩიოდა და სწუხდა, ხმა აღარ ისმის ომისა, მიწურვილია აგერა ჟამი ზაფხულის ორისაო. ვინ იცის, იქნება გული კი ერჩოდა, ბრძოლისათვის ომის ხმა კი არა, ჯღერანიც კი ისმოდა აბჯრისა, მაგრამ ცხოვრება ჩვენი ისე მოეწყო, ისე წელში მოგვხარა— თუ ჩვენმა უგუნურებამ და თუ მტრის ძალადობამ, რომ ვოლსკისთანა მებრძოლვიც ვეღარას გახდებოდნენ.

და განსვენებულიც დაეთხოვა ბრძოლას და მშვიდობიანს მასწავლებლობას განაგრძობდა. რამდენადაც გაგვიგონია, მასწავლებლობდა თურმე განსვენებული თავისებურის გატაცებით, სრულის გულისთქმით, თავის საგნის ღრმა სიყვარულით გამსჭვალული.

აწ განისვენე, ძმაო! გაიარეთ შენთვის ყოველივე. შენი გულის ცემა შესწყდა, შენი სული აღარა ჰკვნესის საყვარელის ქვეყნის ტანჯვითა და დაჩაგვრითა. შენ შენი საუკუნო სავანე და განსასვენებელი იპოვნე, ჩვენ-კი კვლავ აქ ვრჩებით, რათა ვიტანჯოთ, ვიკვნესოთ, ვიწვათ და

ვივაგლახოთ და ჩვენის თვალით უყურეთ ჩვენს უილაჯობას, „ჩვენსა წამხდარს გმირობას და მამულს დაობლებულს“...

მშვიდობით!...

გრ. ყიფშიძე

ტფილისი, 8 ოქტომბერი.

რუსეთში არსებობს ხალხის ჯანმრთელობის დამცველი საზოგადოება. მისის მოწოდებით მიმდინარე წლის დამლევს პეტერბურგში მოხდება კრება, რომლის უმთავრესი საგანი იქნება ლოთობის წინააღმდეგ საშუალებათა გამოძებნა. ლოთობა, ეს სულისა და ხორცის გამხრწნელი ჩვეულება, ძირს უთხრის ხალხის კეთილ დღეობას და მრავალ გზით აზარალებს მას.

ფინანსების სამინისტროს აღრიცხვით, 1908 წლის განმავლობაში რუსეთში დაულევიათ 85.360,000 ვედრა არაყი 690.163,000 მანეთის ღირებულობისა. აქედან ქალაქებში უხმარიათ 28 მილიონი ვედრა, სოფლებში 56 მილიონი. ეს აუარებელი არაყი ნახევარ ვერსიან სიგრძე-სიგანისა და 20 საჟენიან სიღრმის ტბას აავსებდა, ან კიდევ ოცდაათ ტოტიან ნიაღვრად წამოვიდოდა, ვედრის სიმსხოსი, შავისა და კასპიის ზღვების შუა მანძილზე. ეს ანგარიში, მკითხველო, გადამეტებული არ გეგონოთ: პირ-იქით, ჩვენ შევამცირეთ კიდეც ტოტების რიცხვი, რომ სინამდვილეს არ დავშორებოდით. ახლა თქვენ იანგარიშეთ, რამდენი საკეთილო საქმე გაკეთდებოდა ნახმარ არყის ღირებულობით. მოყვანილი რიცხვი ცხად ჰყოფს, რომ ლოთობას ხალხში ღრმად გაუდგამს ფესვი და ზემოხსენებულ საზოგადოებას დიდი შრომა დასჭირდება, ოტათი მაინც შეამციროს ეს სენი.

ქართველობას ერთი კარგი ზნე სჭირს: არაყს მაგრე რიგად არ ეტანება და ლოთობაც იშვიათი მოვლენაა ჩვენში. ამ ბოლო დროს, საზოგადო პირობების ზედგავლენით ლოთობა დაბა ქალაქებში თანდათან ფეხს იკიდებს. ჩვენ უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ხალხს თავიდან ავაცილოთ ეს დამღუპავი ჩვეულება. ცნობილია კულტურული საშუალება: სწავლა-ცოდნის გავრცელება, საღამოს კურსები, საკვირაო კითხვები, სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენის გამართვა და სხვა მაგვარი, სამიკიტნოს ამცილებელი საშუალებანი.

საუურადღებო დეკეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

—

თავრიზი. პოდპოლკოვნიკ მამაცევის წინამძღოლობით თავრიზიდან გამოვიდა და კავკასიისაკენ გაემართა გრენადერთა ბატარეა და ორი როტა კავკასიის მესამე მსროლელი ბატალიონისა.

თეირანი. რამაზანის (სპარს. მარხვაა) გათავების გამო დიდი დღესასწაული იქნა გადახდილი, ისროდენ ზარბაზნებიდან.

თეირანი. მეჯლისი გაიხსნება 17 ოქტომბერს.

ბელგრადი. საერობო კრებამ დაადგინა 7 წლის განმავლობაში ააგოს 34 სკოლისათვის შენობები საყოველთაო სწავლის შემოსაღებათ. მოეთხოვოს სასკოლო-აღმაშენებელ ფონდის გამგეობას 55,600 მ. დაუბრუნებელი დახმარება და 33,300 მ. სამ პროცენტიანი სესხის სახით;

წვრილ კრედიტის დაწესებულებათა წესდების მოკლე შინაარსი.

ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში აღიძრა ინტერესი სესხის დაწესებულებათა დაარსებისა. სოფლის მცხოვრებთ ნულარ ვიტყვით, ბევრ ქალაქელებსაც ჯერ გაცნობილი არა აქვს წესდება, რომელზედაც დაფუძნებულია წარმოება წვრილი სესხისა. ამის გამო განვიზრახეთ, მოკლედ მაინც გაგვეკნო მკითხველებისათვის მისი შინაარსი.

წესდება ფინანსების მინისტრის მიერ დამტკიცებულია 1904 წ. 7 ივნისს წვრილ სესხის დაწესებულებათათვის.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ წვრილი სესხის ორ-გვარ დაწესებულებას 1) **საკრედიტო ამხანაგობას** და 2) **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას**, გამოვარკვევთ მათ შედგენილობას, მგზავსება-განსხვავებას.

ორთავეს მიზნათა აქვს სესხის გაცემით და შუამავლობის გაწევით წევრებს ხელი შეუწყოს და გაუადვილოს სამეურნეო წარმოება და გაუმჯობესება.

ორთავეს უნდა ჰქონდეს ძირითადი თანხა 1000 მანეთამდინ. ხოლო საკრედიტო ამხანაგობა თავის ძირითად თანხას შოულობს **სესხით** სახელმწიფო ბანკისაგან, ან კერძო კაცისაგან; შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა-კი თავის ძირითად თანხას ადგენს ყველა წევრების თანაბარ შესატან ფულისაგან, რომელსაც **სწევრო** ბაჟი ეწოდება. ერთსაც და მეორესაც შეუძლიან ძირითად თანხის გადიდება შემოწირულობით და მოგებიდან გადადებულ ნაწილით.

ორთავე ამხანაგობას ნება აქვს შეიძინოს და გაყიდოს ქონება, აწარმოვოს ყოველ გვარი საქმეები სასამართლოებში, მიიღოს შემოწირულებანი.

ორთავე ამხანაგობა არ იხდის სახელმწიფო სამრეწველო გადასახადს და მიწერ-მოწერაში საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

ორთავე ამხანაგობა შესდგება არა ნაკლებ 20-ის წევრისაგან. წევრებად მიიღებიან ორივე სქესის პირები სრულ წლოვანნი, არტელები, ამხანაგობანი და სოფლის საზოგადოებანი. ყოველი წევრი მოვალეა შესვლისთანავე იკისროს პასუხის მგებლობა ამხანაგობის საქმეებისა. არა სასურველი წევრი ამხანაგობის დადგენილებით შეიძლება გამორიცხულ იქნას.

ორთავე ამხანაგობას შეუძლიან მოგებიდან ან სხვა წყაროდან შეადგინოს თანხა: 1) **საოადრიგო** ზარალის დასაფარავად და 2) **განსაკუთრებითი** საშუამავლო წარმოებისათვის, საქონლისა და იარაღის სასყიდლად, თავის წევრთა ნაწარმოების გასასყიდათ, უბედურ შემთხვევაში წევრთა დასახმარებლად.

ორთავე ამხანაგობას შეუძლიან მიიღოს შესანახად და გასასესხებლად ყოველ პირისაგან ფული ამა თუ იმ პირობით. შეტანილი ფული შემტანის მოვალეთაგან ხელშეუხებელია,—გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშნულია სამოქალაქო კანონების 1083 მუხლში. ამ ფულის ანგარიში საიდუმლოთ ინახება და შემტანის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეს გადაეცემა სარგებლით. სარგებელი განთავისუფლებულია ჩვეულებრივ გადასახადისაგან. ამხანაგობის ვალდებულებანი მესამე პირთა წინაშე არ უნდა აღემატებოდეს საკუთარ ძირითად თანხის ათკეცილს.

ორთავე ამხანაგობა აძლევს სესხს მხოლოდ თავის წევრებს. სესხი შეიძლება იყვეს **მოკლე** ვადიანი ერთ წლამდის და **გრძელ** ვადიანი 5 წლამდე. სესხი გაიცემა პირადი ნდობით,

ვინაიდან რამოდენიმე წ. საერობო გადასახადები აუკრეფელი რჩება, დადგენილ იქნა იშუამდგომლონ საერობო გადასახადების ამკრეფთა თანამდებობა იქნეს დაწესებული.

პეტერბურგი. დღე და დამეში ხოლერით ავად გახდა 25, გარდაიცვალა 15, ავად არის 334.

პეტერბურგი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: არხანგელსკში 4, ბალახნაში 1, გროდნოს მაზრაში 3, დრისაში 4, კიევში 24, კიევის გუბერნიაში 8, კოსტრომის გუბერნიაში 14, კრონშტადტში1, ნოვგოროდის გუბერნიაში 10, კრემენჩუგში 13, კრემენჩუგის მაზრაში 5, პონევეჟაში 20, კრენგოლმში 5, სირენცში 3, სარატოვში 1, ელატომსკის მაზრაში 9, ტვერში 10, ტვერის, კოლჩევისა, კალიაზინსკისა და სტარიცკის მაზრებში 5, ოსტრაში 2, სოფელ სტალინში 3, იაროსლავში 25, იაროსლავის გუბერნიაში 22 კაცი; გარდაიცვალა: არხანგელსკში 1, ბალახნაში 1, გროდნოში 1, გროდნოს მაზრაში 3, დრისაში 2, კიევში 7, კიევის გუბერნიაში 3, კოსტრომის გუბერნიაში 5, კრემენჩუგის მაზრაში 4, კონოვეცში 2! სარატოვში 3, ვლატომსკის მაზრაში 5, ტვერში 1, იაროსლავში 11, იაროსლავის გუბერნიაში 14 კაცი.

კიევი. საგუბერნიო კომიტეტმა მოიწონა ხუტორების (სოფლების) აგრონომიული დახმარების ზომები. კომიტეტმა დაადგინა სამაზრო აგრონომების შესანახათ გადადებულ იქნას 14,700 მან., 1,800 მან, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოსაწყობათ, 3,000 მ. საცდელი უბნის მოსაწყობათ, 1,000 მ. მეტეოროლოგიური სადგურის მოსაწყობათ, 4,000 მ. მებაღეობის და მებოსტნეობის გასაუმჯობესებლათ, 3,250 მან. სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას.

სმოლენსკი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა გახსნას 10 ახალი სკოლა, გადაიდოს 7,000 მან. წიგნთსაცავისათვის და თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა მუზეუმისათვის.

ვერხნე დნეპროვსკი. საერობო კრებამ მიიღო პროექტი 21 წლის განმავლობაში შემოღებულ იქნას საყოველთაო პირველ-დაწყებითი განათლება.

ვარშავა. გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები. კურსებზე სამი ფაკულტეტია. მიიღეს 336 ქალი.

ახალი ამბები

◆ **ხოლერის მოლოდინში.** ქალაქის გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ბაქოში ხოლერის გაჩენის გამო ქალაქში გაძლიერებულია სანიტარული თვალყურის დევნება. ამასთანავე მზათ არის შენობა საავადმყოფოსათვის, საცა მოთავსებული იქნებიან ხოლერით ავათმყოფნი, უკეთუ ხოლერა თავს იჩენსო.

◆ **ახალი წიგნი.** ამ მოკლე ხანში გამოვა კ. კანდელაკის მიერ შედგენილი ახალი წიგნი: „ოპერაცია“ (თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

◆ **უპასპორტოები.** მე-8 საპ. ნაწილში ჩხრეკის დროს 4 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა 28 უპასპორტო, მათი ვინაობის გაგებას შეუდგნენ.

◆ **იუბილეი.** ახლო მომავალში სრულდება 50 წელიწადი, რაც მოღვაწეობს სომხების ცნობილი დრამატურგი გ. სუნდუკიანცი. სომხების ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს გაუმართოს მას იუბილეი და გამოსცეს მისი ნაწარმოებნი.

◆ **დაჭრა.** 4 ოქტომბერს გორის ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს ოზურგეთის მაზ. მცხოვრები თედორე ჭკუასელი. ამის გამო, დააპატიმრეს სენაკის მაზრის მცხოვრები სერაპიონ გუგუშვილი.

◆ **„ბუნების კარი“.** გამოვიდა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ მე-18-ე გამოცემა. წიგნში ჩართული არის რამდენიმე ახალი სურათი. სხვათა შორის, ჯგუფი ქართველ მთავარის მგოსნებისა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი, რაფ. ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. სულ ბოლოში წიგნს დამატებული აქვს სრულიად ახალი განყოფილება: „კაცობრიობა“, ევროპის პატარა ქარტის ჩართვით. როგორც წინასიტყვაობიდან სჩანს, ავტორს წიგნი დამთავრებულათ მიაჩნია და ახლო მომავალში აღარ მოახდენს რაიმე ცვლილებასა. წიგნი შეიცავს 632 გვ. ღირს ყდით 70 კ.

◆ **სხვა-და-სხვა ამბები.** 3 ოქტომბერს ქუჩაში მიმავალ მე-2 გილდის ვაჭარს ბაგრატ ცატუროვს ხანჯლით ხელში თავს დაესხა მისი ყოფილი ნოქარი ანტონ მგალობლიშვილი და მოინდომა მისი დაჭრა, მაგრამ ცატუროვმა მოასწრო შეეობრუნება და მგალობლიშვილმა მოასწრო მხოლოდ მსუბუქად დაჭრა. პოლიციამ მგალობლიშვილი დააპატიმრა. ის გამოტყდა დანაშაულობაში.—რაჭის მაზ. მცხოვრებმა სიკო ბაღიაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ ამას წინათ სამების ქუჩაზე ვიღაცამ წამართვა ვერცხლის ქამარი, რომელიც 26 სექტ. აღმოაჩნდა მეწვრილმანე დავით გოგიჩაძესო. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბაღიაშვილი გაეცარცვა რაჭის მაზ. მცხოვრებს დომენტი ყიფიანს. პოლიციამ ყიფიანი, დააპატიმრა.—3 ოქტომბერს ტფილისის საანგარიშო სამეწყალ-მოქმედო ბანკის აგენტმა პავლე მჭედლოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ როცა ის ტრამვაის ვაგონში ჯდებოდა ვილაცეებმა ამოართვეს მას ჯიბიდან საფულე 18 მან. ფულით და სხვადა-სხვა დოკუმენტებით. დანმაშავე იქვე დაპატიმრეს. ის აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე ვასილ ჩუჟგოლოვი.

◆ **საკითხი საექსარხოსოს შესახებ.** ამას წინად „ნოვ. ვრემ.“-დან გადმოვბეჭდეთ, ვითომ სინოდს საბოლოო გადაეწყვიტოს საექსარხოსოს გაუქმება. როგორც გვატყობინებენ, სინოდს საბოლოოდ ჯერ არა გადუწყვეტია-რა, თუმცა პროექტი ამიერ-კავკასიაში უნდა დაარსდეს ექვსი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო და გაუქმდეს ექსარხოსის თანამდებობა. ექვსი ეპისკოპოსიდან 4 იქნება რუსი, ორი ქართველი. ტფილისში იქნება ბაქოს ეპისკოპოსი; იმის ვიკარებად იქნებიან რუსი ეპისკოპოსები ყარსსა და განჯაში. ბათუმისა და სოხუმის ოლქების (ამ ოლქებში შევა სამეგრელოც) ეპისკოპოსადაც რუსი იქნება, რომლის რეზიდენციადაც ბათუმი დაინიშნება. ქართველი ეპისკოპოსები იქნებიან ქართლ-კახეთის და გურია-იმერეთის ეპარქიებში. როგორც გადმოგვცეს, ნამესტნიკს თავისი აზრი წარუდგენია უწმ. სინოდში. იგი საჭიროდ სცნობს, რომ საექსარხოსოში მართვა-გამგეობის ძველი წესი დარჩესო. ექსარხოსის თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ ტამბოვის ეპისკოპოსს ინოკენტის და ალეუტისას (ამერიკაშია)—პლატონი.

მუშრუმელთა ბირჟა.

სამ უკანასკნელ დღეს სალდათის ბაზარში სამუშაოს საშოვნელად

	გამოვიდნენ:		იშოვნეს:
მუშა	1218	—	228
დურგალი	57	—	34
კალატოზი	75	—	56
მომკირწყლავი	109	—	43
მეჟესტე	26	—	18
მხატვარი	64	—	54
მებუხარე	26	—	12
იატაკის გამწმენდი	21	—	19

ნუ თუ მართალია?

თავ. რაზეს ამირაჯიბმა კადმოგვგზავნა-ჩვეულებრივი ამბავი:

სტიციანოში ყარსულ ზაფხულს, ჭიციშვილის დასაფლავების დღეს გამართულმა ქელეხმა სამი მოქეფეხე იმსხვერპლა: ერთი გარდაეცვალა ეზომოჭამისაგან, ორი გადაწარბებულ სმისაგან.

სამწუხაროდ, ეს ამბავი მართალია, და ნუ თუ ამ შემთხვევამ არ უნდა შე-

---

ან თავდებობით, ან გირაოს ქვეშ. სესხი უნდა მოხმარდეს იმ საქმეს, რომლისათვისაც მსესხებელმა ითხოვა. უკეთუ სესხი ხმარდება სხვა, არა საიმედო საქმეს, გამგეობას შეუძლიან მოითხოვოს ვადამდე ფულის დაბრუნება. სესხის სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს თვეში მანეთზე კაპეიკს. მსესხებელს შეუძლიან დაუბრუნოს სესხი ვადამდე და ამ შემთხვევაში ზედ მეტი სარგებელი დაუბრუნოს. საპატიო მიზეზის გამო ან უბედურ შემთხვევაში სესხის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს თვისა და სხვა შეღავათიანი პირობაც მიეცეს დაზარალებულ მსესხებელს.

ორთავე ამხანაგობას შეუძლიან გადაახდევინოს ვადა გასული სესხი პოლიციისა ქალაქში და სასოფლო მმართველობის დამარებით სოფელში; ამ შემთხვევაში, გარდა მსესხებელისა, მისი თავდებიც პასუხს აგებს. პოლიცია და სასოფლო მმართველობა არიან მოვალენი 7 დღის განმავლობაში სისრულეში მოიყვანონ ამხანაგობის მოწერილობა.

წმინდა მოგება საკრედიტო ამხანაგობისა ასე განაწილდება: მანეთზე 20 კაპეიკი მიემატება სათადარიგო თანხას, 40 კაპ. ძირითადს, დანარჩენი 40 კაპეიკი მოხმარდება განსაკუთრებით თანხას რაიმე სასარგებლო საქმისთვის ან მმართველთა დასაჯილდოვებლად.

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წმინდა მოგება ასე განაწილდება: მანეთზე 10 კაპეიკი გამოირიცხება სათადარიგო თანხისათვის, დანარჩენიდან მანეთზე არა უმეტეს 10 კაპეიკისა მიეცემა სარგებლად პაების პატრონთ, შემდეგი დანარჩენი მოხმარდება სასარგებლო საქმეს ან მმართველთა დასაჯილდოვებლად.

ორთავე ამხანაგობას განაგებს: 1) გამგეობა, 2) საბჭო და 3) საზოგადო კრება. გამგეობა განაგებს ყველა საქმეებს, საბჭო ზედამხედველობს და საზოგადო კრება განიხილავს და ადგენს ყველა წესებს ამხანაგობის მოქმედებისას.

ორთავე ამხანაგობას ევალება წიგნების წარმოება მიღებულის წესით. საჭიროა არა ნაკლებ სამის წიგნისა: 1) კასსა, რომელშიაც ჩაიწერება საერთოდ შემოსავალ გასავალი, 2) წიგნი, რომელშიაც ჩაიწერება შემოსავალ-გასავალი ცალკე წარმოებისა და 3) წიგნი, რომელშიაც ჩაიწერება ანგარიში ყველა წევრისა ან სხვა პირისა, რომელთანაც ამხანაგობა საქმეს დაიჭერს.

ორთავე ამხანაგობას ნება ეძლევა საზოგადო კრებაზე, საჭიროების მიხედვით, შესცვალოს წესდების რომელიმე მუხლი და წვრილ კრედიტის მმართველობას წარუდგინოს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიცვლეგინოს შეხედულობა ქალების საკითხებზე?

ღამე მინდორში.

შუა ზაფხულის მთვარიანი, ნათელი და კაშკაშა ღამეა. ცაზედ ტურფად დაცურავს ბადრი მთვარე და მისი სინათლე მიმოფენს ქვეყანას. ბუნება წყნარობს. სიჩუმე სუფევს არე-მარეზე. ლოფელსა სძინავს. ძაღლებიც ჩუმათ არიან.

აი დაჰკრა ივრის ნელმა სიომ და აამღელვარა მთელი მიდამო თავის მოტანილ შორს მინდვრიდგან ათასნაირ ყვავილების სუნით.

აგერ სადღაც შორს, სოფლიდგან მოშორებით ტრიალს მინდორში გაისმის ურმის ჭრიალი და ზედ მჯდარ ღამის მეხრეს ტკბილი და სასიამოვნო ღიღინიც. გაიწუწუნა ნელმა სიომაც და წუწუნითვე გადაიარა მთაგორები. მის წუწუნში გაისმოდა რაღაც ხმაურობა. თითქო მთა-ბარს ეკითხებაო, რას მღერის ღამის მეხრეო? რას მოსთქვამს იგი თავის ტკბილის ხმით? ან კიდევ, არ ეშინიან სადღაც ტრიალს მინდორში შორს მარტოდ-მარტო ამ შუაღამისას?

მთაც თითქოს წინათვე მოელოდა მაგ კითხვას, საზარელის ხმით და ღრიალით გადმოსძახა მთელს ხეობას.

„განა არ იცი, თუ რასაც ამოჰკვნესს ხოლმე გლეხი კაცი დაჩაგრულის გულიდგან. განა არ იცი რისთვის სტეხს ღამეებს მარტოდ-მარტო ტრიალს მინდორში. განა არ იცი რისთვისაც არის ქვეყანაზედ გაჩენილი გლეხის შვილი“. თითქოს მეხი დაეცაო, ეს საშინელი ღრიალი ისე გაისმა მთელს ხეობაზედ და ერთს წამშივე გაქრა.

საწყალი ღამის მეხრე, ოჯახის პატრონი მძიმედ მიაგორებს თავის ურემს მტვრად ქცეულს გზაზედ. თითონაც მაგრათ უზის ურმის თავზედ და მოსთქვამს თავის წარსულს, აწმყოს და მომავალს. თან აგონდება თავის ოჯახი, რომელიც ეხლა გულის ფანცქალით კარს ელოდება. თან ნაღვლიანათ ამოიოხრებს და გაბრაზებული ხარს გაუტყლაშუნებს შოლტს. ხან თვალწინ უდგება თავისი ხელით მოყვანილი საზრდო პური, ახლად გალეწილი ძნა და პირზედ სიხარულის ღიმილი მოზდის. იგი ჰხედავს, რომ წელს კაი მოსავალი აქვს შარშანდელზედ და კმაყოფილიცაა. მის გულს უხარის მოგონება, როდესაც ზაფხულის და შემოდგომის მძიმე უღელს მოიხსნის კისრიდან, მოვა თავის ცოლშვილთან, მიუჯდება გახურებულს ბუხარს, მომავალს გაზაფხულამდე ცოლშვილთან ერთად დაისვენებს, დროს გაატარებს და ძალ-ღონეს მოიკრებს.

ეს იყო ანდრია, ჭაღარა შერეული, ოჯახში მარტო ხელა კაცი.

ასეთი ფიქრით იყო გატაცებული მოღიღინე ანდრია, როდესაც შუაგზას მიატანა—მალე ანდრიას ღრმა ღიღინი მოისპო. კვლავ წინანდებულად სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ოქროს ფერი ზღვასავით მღელვარე ჯეჯილი თუ გაიშრიალებდა და ისევ მალე დაყუჩდებოდა. საწყალ ანდრიას სიბერემ ურემზედაც-კი დასძლია, თითონაც ვერ გაეგო ისე ნელა-ნელა კისერი რომ დაჰხროდა და თვალები მოხუჭოდა.

საქონელი ეხლა უპატრონობის გამო ურემს მძიმეთ მიაგორებდა სოფლისკენ. მტვრისგან დაბნელებულს თვალებით უღელს ქვეშიდგან გაჰყურებდა მწვანეთ აბიბინებულს ბალახს.

აი უპატრონო ურემიც შედგა. ხარებმა მშურის თვალებით დაიწყეს აქეთ-იქით ბლატუნი და ცოხვნა. მაგრამ დიდხანს არ იყო საქონელი ამისთანა მდგომარეობაში. ბოლოს ხარებმა გაიწიეს მოუთმენელად ბალახისკენ და ურემიც ადგილიდან დასძრეს მაგრამ ვაი ამ გაწევას!..

საქონელმა თავისი სიმსუნაგობით ურემი გზის პირათ კარგა მაღლობ ალაგზე შეაყენა. ურემმაც გადაიწია და კალხზედ შედგა. ისაა უნდა გადაბრუნებულიყო ურემი, რომ ამ დროს საქონლის ჩოჩქოლზე და ურმის გადაწევაზე გამოეღვიძა ანდრიასაც. მაშინათვე მიხვდა, რა უბედურებაც ატყდებოდა მის თავს თავისი დაუდევრობით და განზე გადახტა. ამასობაში ურემი კიდეც დაიძრა, გადაბრუნდა და კამეჩებს დააწვა ზევიდგან.

საწყალმა ანდრიამ გადმოხტომის დროს მუხლი დაჰკრა ქვას. ძალიან ეტკინა ისე, რომ ფეხზე ძლივს წამოდგა, მივიდა ურმის ქვეშ მოყოლებულ უენო პირუტყვთან, რომელსაც პირი დაეღო, ენა გამოეგდო და საცოდავათ ყელში ღრუტუნებდა. წევა დაუწყო და მაგრამ გვიანღა იყო. საცოდავმა პირუტყვმა ორი თუ სამი წამის წვალების შემდეგ დალია სული.

ვაჰმე, ნიკორა, რა დროს მიმტყუნე!

ღრმათ ამოიოხრა ანდრიამ, რომელსაც ლაპა-ღუპით ცრემლები გადმოსცვივდა და ტკბილი ოცნება მწარე სინამდვილით შეეცვალა.

მოწაფე მ. გულისაშვილი.

მ. ალექსეენკოს აზრი რუსეთის ნივთიერ მდგომარეობაზე.

ერთის კაზეთის თანამშრომლისათვის სანბეუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ალექსეენკოს უთქვამს: „ბატონ მოსავლის“ მოხებით, რომელიც წელს ესტუმრა ჩვენ ქვეყანას, შეგვძლებთ უგვლა ხარჯების გასტუმრებას ახლა კარეშე სესხის აუდებლად. არა სასურველია აგრეთვე შინაური სესხიც, რადგან ხშირი სესხი გაჭირების დროს მეტად აბრკოლებს განვითარებას.

წვრილი ამბები

— როგორ ანაწილებს ადამიანი თავის დროს. ჩვეულებრივი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობამ დაითვალოს 70 წლის განმავლობაში, აქედან სწავლას ის მოანდომებდა 3 წელიწადს.

ბარის დაბანას 3 წელი.

სიარულს—5 წელ.

მუშაობას—11 წელ.

ჭამას—6 წელ.

დაპარაკს—4 წელ.

კითხვას—6 წელ.

ძილს—24 წელ.

ამგვარად ადამიანი ძილს ანდომებს თავის სიცოცხლის მეტ ნაწილს, ამის მიუხედავად, როგორ ატარებს დანაჩენ დროს.

რედაქტორ გამომცემელი
დარია ხრამელაშვილისა.

გაქცხალდებანი

ვერაზე გუნიბის და პეტროვსკის ქუჩაზე იყიდება ნაჭრობით.

მიწა, სავ. 5—15 მან.

ფასის გადახდა ნაწილობით.

მიმართეთ „გუტენბერგის“ სტამბაში, ოლგის და სლეპცოვის ქუჩის კუთხე. (4—2)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეთ საშუალო სასწავლებლისათვის.

იზმაილოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

პ. არღაზიანმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

მე 2 თუმანოვის ქუჩა № 13 ნომცების სასაფლაოს ახლო. დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—7 ს. 1

რადგან განვიძრახეთ ალექსანდრე ყაზიბეგის დაბეჭდავ ლექსების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზდობის სურათი მოეპოვება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, № 2, **გრიგოლ ჩარკვიანს**. დაბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მადლობით დაუბრუნდება პატრონს. (10—1)

განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაშია

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

თ. აკოფიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპ.. № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესისა.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივ ჩქარის წერისა, როგორც ლაპარაკი. იგი საჭირო ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 15 ოქტომბერს ამა წლისა მიიღებიან სადამოს 4—7½ საათ. პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების სადგომში. კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი (10—2)

წიგნის მაღაზია
„ცოდნა“

იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები. აქვე იყიდება:

არითმეტიკული კრებული ე. ხრამელაშვილისა I ნაწ. 30 კ.
„ „ „ II ნაწ. 40 კ.
ქართული წერის დედანი მირიანაშვილისა 40 კ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა ხრამელაშვილის არითმეტიკული სახელმძღვანელო, საშუალო კურსი 1 მ. ვინც ოცზედ მეტს წაიღებს, მას მანეთში აბაზს დაუკლებთ. მსურველს წიგნები დაუყოვნებლად გაეგზავნება ფოსტით.

მისამართი: Тифлисъ, книжн. магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

სტამბა „გუტენბერგისა“- ოლგინის და სლეპცოვის კუთხე № 1.